

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო



ეკონომიკური ტენდენციების კვარტალური მიმოხილვა

II კვარტალი, 2021

მოკლე შეჯამება

- წინასწარი მონაცემებით ეკონომიკურმა ზრდამ 2021 წლის მეორე კვარტალში შეადგინა 29.8 პროცენტი
- ეკონომიკური ზრდის პროგნოზი საქართველოსთვის 2021 წელს: 7.7 პროცენტი
- მეორე კვარტალში წლიურმა ინფლაციამ შეადგინა 8.3 პროცენტი, ხოლო საბაზისო ინფლაციამ - 6.3 პროცენტი
- ექსპორტი გაიზარდა წლიურად 47.1 პროცენტით
- იმპორტი გაიზარდა წლიურად 44.8 პროცენტით
- ტურიზმიდან მიღებული შემოსავლი მნიშვნელოვნად გაიზარდა საბაზო ეფექტის გამო, თუმცა ჯერ კიდევ რჩება 2019 წლის დონეზე დაბლა
- რეფინანსირების განაკვეთი გაიზარდა და შეადგენს 9.5 პროცენტს



სარჩევი

რეალური სექტორი	4
ეკონომიკური ზრდა	4
დასაქმება და უმუშევრობა	6
ფასების დონე	7
რეგიონის ეკონომიკური მიმოხილვა	9
 საგარეო სექტორი	 11
მიმდინარე ანგარიშის ბალანსი	11
საგარეო ვალი	12
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები	12
საგარეო ვაჭრობა	13
ტურიზმი	14
ფულადი გზავნილები	15
სხვა ქვეყნებზე დამოკიდებულება	16
გაცვლითი კურსი	17
 ფისკალური სექტორი	 18
ნაერთი ბიუჯეტის შესრულება	18
საქართველოს სახელმწიფო ვალი	20
 მონეტარული სექტორი	 21
კერძო სერტორის ლარიზაცია	21
სესხების მიმოხილვა	22
დეპოზიტების მიმოხილვა	23
მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი	24
საპროცენტო განაკვეთები	25


რეალური სექტორი

ეკონომიკური ზრდა


წინასწარი მონაცემებით, 2021 წლის მეორე კვარტალში რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით საშუალოდ გაიზარდა 29.8 პროცენტით. აღნიშნული ზრდა მნიშვნელოვნად გამოწვეულია მაღალი საბაზო ეფექტით, რადგან 2020 წლის მეორე კვარტალში მოხდა ეკონომიკური აქტივობის მკვეთრი შემცირება, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე რეგიონში COVID-19 პანდემიის პირველადი გავრცელების გამო. ამავე დროს, 2021 წლის მეორე კვარტალში რეალურმა ეკონომიკურმა ზრდამ 2019 წლის მეორე კვარტალთან შედარებით შეადგინა 13 პროცენტი საშუალოდ. აღნიშნული ზრდა განპირობებული იყო სოციალური დისტანცირების შეზღუდვების მოხსნით და რეგიონში ეკონომიკური მდგომარეობის გააქტიურებით. კერძოდ, მეორე კვარტალში ექსპორტი წლიურად გაიზარდა 47.1 პროცენტით, ხოლო იმპორტი წლიურად გაიზარდა 44.8 პროცენტით. ამავე დროს, 2019 წლის მეორე კვარტალთან შედარებით, ექსპორტი გაიზარდა 10.9 პროცენტით, ხოლო იმპორტი გაიზარდა 1.3 პროცენტით. ვაჭინაყის პროცესის ნელი ტემპი ანელებს ტურიზმის სექტორის აღდგენის პროცესს. საგარეო მოთხოვნა ზრდას განაგრძობს, თუმცა, ტურიზმის გათვალისწინებით, პანდემიამდე არსებულ მდგომარეობასთან შედარებით, შემცირებული რჩება. საერთაშორისო მოგზაურებისგან მიღებული შემოსავალი მეორე კვარტალში წლიურად გაიზარდა 8.5-ჯერ, თუმცა 2019 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ადგილი აქვს 72 პროცენტიან შემცირებას.

2021 წლის დასაწყისში გაუარესებული ეპიდემიოლოგიური ვითარების გამო, ადგილი ჰქონდა რიგ შეზღუდვებს, რაც ხელს უშლიდა ეკონომიკური აღდგენის პროცესს. შესაბამისად, პირველ კვარტალში რეალური მშპ წლიურად შემცირდა 4.5 პროცენტით. ამავე დროს, 2019 წელთან შედარებით, რეალური მშპ შემცირდა 2.2 პროცენტით. მნიშვნელოვანი წილი მშპ-ს კლებაში შეიტანა ექსპორტის კომპონენტმა, რომელიც რეალურ გამოსახულებაში წლიურად შემცირდა 15.7 პროცენტით და შეიტანა -7.3 პ.პ. კონტრიბუცია. ამავე დროს, რეალურ გამოსახულებაში იმპორტი წლიურად შემცირდა 3.5 პროცენტით და შეიტანა 2.2 პ.პ. წვლილი. ეკონომიკური ზრდის საერთო კლების მიუხედავად, რიგ საქმიანობაში გამოვლინდა


დიაგრამა 1: ეკონომიკური ზრდა




დიაგრამა 2: სექტორების რეალური ზრდა, 2020 | კვარტალი



დიაგრამა 3: ეკონომიკური ზრდის დეკომპოზიცია




დიაგრამა 4: ეკონომიკური ზრდის პროგნოზი



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

დიაგრამა 5: მშპ მოსახლეობის ერთ სულზე, ათასი აშშ დოლარი



წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი

ეკონომიკური ზრდა. კერძოდ, მნიშვნელოვანი წვილილი ზრდაში შეიტანა შემდეგმა საქმიანობებმა: სამთომოპოვებითი მრეწველობა (50.3% წ/წ, 0.6 პ.პ. წვლილი ზრდაში), საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები (24% წ/წ, 1.5 პ.პ.), ინფორმაცია და კომუნიკაცია (16.8% წ/წ, 0.6 პ.პ.), ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები (13.3% წ/წ, 0.6 პ.პ.). ხოლო კლებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა შემდეგმა სექტორებმა: განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა (-54% წ/წ, -2.2 პ.პ.), ხელოვნება, გართობა და დასვენება (-25.4% წ/წ, -1 პ.პ.), მშენებლობა (-19.4% წ/წ, -1.1 პ.პ.), ტრანსპორტი და დასაწყობება (-9% წ/წ, -0.5 პ.პ.), უძრავი ქონება (-6.4% წ/წ, -0.9 პ.პ.).

2021 წლის განმავლობაში ზრდა მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული სოციალური დისტანცირების შეზღუდვების შერბილებაზე და უცხოელი ვიზიტორების რაოდენობაზე, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ვაქცინაციის პროცესზე, რომელიც დაიწყო მარტში, თუმცა მიმდინარეობს ნელი ტემპებით. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს პროგნოზის მიხედვით, 2021 წელს მოსალოდნელია 7.7 პროცენტული ეკონომიკური ზრდა, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება შიდა მოთხოვნის ზრდით და ბიუჯეტში გათვალისწინებული ფისკალური სტიმულების ღონისძიებებით. 2022 წლიდან ეკონომიკა გააგრძელებს საშუალოდ 5.7 პროცენტულ ზრდას, 2022-2025 წლებში.


დასაქმება და უმუშევრობა

2021 წლის პირველ კვარტალში უმუშევრობის დონემ 21.9 პროცენტი შეადგინა, რაც 1.5 პპ-ით მეტია წინა კვარტლის მნიშვნელობაზე და 3.7 პპ-ით წინა წლის შესაბამის პერიოდათან შედარებით. მათ შორის, უმუშევრობა ქალაქად შეადგენდა 23.6 პროცენტს (+5.7 პპ წ/წ), ხოლო სოფლად - 19.3 პროცენტს (+0.4 პპ წ/წ). უმუშევრობის ყველაზე მაღალი დონით 15-24 და 25-34 ასაკობრივი ჯგუფები გამოირჩევა. 2021 წლის პირველ კვარტალში ეკონომიკურად აქტიურმა მოსახლეობამ შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის (15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობა) 48.3 პროცენტი შეადგინა. 2021 წლის პირველ კვარტალში, ქალების ჯგუფში უმუშევრობის დონემ შეადგინა 19 პროცენტი, ხოლო მამაკაცების ჯგუფში, აღნიშნულმა მაჩვენებელმა შეადგინა 24.1 პროცენტი.

COVID-19 ეპიდემიით გამოწვეული ეკონომიკური ზრდის შემცირების გამო, რომელმაც 2021 წლის პირველ კვარტალში შეადგინა -4.5 პროცენტი, დასაქმებულთა რაოდენობა შემცირდა 10.5 პროცენტით წინა წლის შესაბამის კვარტალთან შედარებით, ხოლო 4.2 პროცენტული პუნქტით შემცირებულია დასაქმების დონე. უმუშევართა რაოდენობა წლიურად გაიზარდა 12.4 პროცენტით. ამავე დროს, პროდუქტიულობა (რეალური გამოშვების შეფარდება დასაქმებულთა რაოდენობაზე) წლიურად გაიზარდა 6.8 პროცენტით. ამავე დროს, 4.4 პროცენტით გაიზარდა დასაქმებულთა საშუალო ნომინალური ხელფასი, რომელიც 2021 წლის პირველი კვარტლის მდგომარეობით შეადგენს 1256.2 ლარს.

2020 წელს უმუშევრობის დონის მაჩვენებელმა შეადგინა 18.5 პროცენტი, რაც აღემატება 2019 წლის მნიშვნელობას 0.9 პპ-ით. ასევე 1.5 პპ-ით შემცირდა დასაქმების მაჩვენებელი, რომელიც გაუტოლდა 41.1 პროცენტს. დასაქმებულთა 31.9 პროცენტი შეადგენს თვითდასაქმებულებს, ხოლო 68.1 პროცენტი წარმოადგენს დაქირავებულ სამუშაო ძალას, რომლის აქტიურობის დონე ასევე შემცირებულია 1.3 პპ-ით და უდრის 50.5 პროცენტს.

დიაგრამა 6: შრომის ბაზრის ინდიკატორები



დიაგრამა 7: პროდუქტიულობა და დასაქმებულთა საშუალო ხელფასი (წლიური ცვლილება, %)



ფასების დონე

2020 წლის განმავლობაში ინფლაციის მაჩვენებლის დინამიკაზე ხდებოდა მნიშვნელოვანი წნეხი როგორც მიწოდების, ასევე - მოთხოვნის მხრიდან. COVID-19 ვირუსის გავრცელების გამო არსებული შეზღუდვები ართულებს და აწელებს წარმოებას, რაც იწვევს დანახარჯების ზრდას, ეს კი აისახება საბოლოო პროდუქტის ფასზე. ამასთან ერთად, არსებული ლარის გაუფასურება ზრდის იმ ფირმების ხარჯებს, ვისაც გააჩნია სესხი უცხოურ ვალუტაში, რაც იმპორტირებულ ინფლაციასთან ერთად განაპირობებს ინფლაციის ზრდას. ამავე დროს, პანდემიასთან დაკავშირებული სოციალური დისტანცირების ზომების და შემცირებული ეკონომიკური აქტივობის გამო მცირდება როგორც ადგილობრივი, ასევე - უცხოური მოთხოვნა, რაც განაპირობებს ინფლაციის შემცირებას. შესაბამისად, საბოლოო ცვლილება დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი ფაქტორის გავლენა იქნება დომინანტური. საბოლოოდ, პანდემიის პირობებში წარმოების გაზრდილი ხარჯებისა და ლარის გაცვლითი კურსის გაუფასურების ეფექტებმა გადაწონა, რის შედეგადაც წლიური ინფლაცია მიზნობრივი მაჩვენებლის ზემოთ ნარჩუნდებოდა. 2021 წლის მეორე კვარტალში წლიურმა ინფლაციამ შეადგინა 8.3 პროცენტი. აღნიშნული ზრდა მნიშვნელოვნად არის გამოწვეული საერთაშორისო ბაზრებზე ნავთობისა და სასურსათო პროდუქტების მზარდი ფასებით, რაც აისახება ადგილობრივ ფასებში და კომუნალური გადასახადების სუბსიდირების პროგრამის გაუქმებით. ამავე დროს, წინა პერიოდებში გაუფასურებული ლარის გაცვლითი კურსის ზეგავლენით, მაღალ დონეზე რჩება იმპორტირებული ინფლაცია. საბაზო ინფლაცია (თამბაქოს გარეშე) მეორე კვარტალში გაუტოლდა 6.3 პროცენტს. საბაზო ინფლაციის მაღალი მაჩვენებელი მთლიან ინფლაციასთან შედარებით, გამოწვეულია ლარის ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსის გაუფასურებითა და ფირმების საოპერაციო ხარჯების ზრდით.


4 აგვისტოს ეროვნული ბანკის კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება რეფინანსირების განაკვეთის 0.5 პპ-ით გაზრდის თაობაზე, ფასების შემდგომი მომატების თაობაზე მოლოდინების ზეწოლის შესამსუბუქებლად. ეროვნული ბანკის მიხედვით, 2021 წელს ინფლაცია საშუალოდ 9 პროცენტის ფარგლებში იქნება და შემდეგ მიზნობრივ მაჩვენებელს ეტაპობრივად დაუახლოვდება.

დიაგრამა 9: წლიური ინფლაცია



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


დიაგრამა 10: ინფლაციის დეკომპოზიცია



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საქსტატი

ლარის გაუფასურების მიუხედავად, ადგილობრივი ინფლაცია აჭარბებს იმპორტირებულ ინფლაციას. 2021 წლის მეორე კვარტალის ჭრილში, ადგილობრივი ინფლაცია გაუტოლდა 3.7 პროცენტს, ხოლო იმპორტირებულმა ინფლაციამ შეადგინა 2.6 პროცენტი. აღნიშნული დინამიკა გამოწვეულია სურსათზე ფასის მომატებით და სამომხმარებლო კალათაში სასურსათო საქონლის ჯგუფის მიერ შეფარდებით მაღალი წონის დაკავებით.

დიაგრამა 11: ინფლაციის დეკომპოზიცია, II კვარტალი, 2021




რეგიონის ეკონომიკის მიმოხილვა

2020 წელს COVID-19 პანდემიით გამოწვეული რეცესიის შემდგომ, 2021 წლის პირველ ნახევარში შეიმჩნევა გლობალური ეკონომიკური აქტივობის გაჯანსაღება. თუმცა ეპიდემიოლოგიური ვითარება რიგ ქვეყანაში ჯერ კიდევ აფერხებს ეკონომიკურ საქმიანობას, რადგან ახალი შტამების გავრცელების ფონზე დაწესებულია შეზღუდვები. განვითარებულ ქვეყნებში მზარდი ვაქცინაციის პროცესი ხელს უწყობს ეკონომიკური საქმიანობის გაჯანსაღებას, ხოლო განვითარებად ქვეყნებში ვაქცინაცია მიმდინარეობს შედარებით ნელი ტემპებით, რის გამოც ეკონომიკური აქტივობის აღდგენის ტემპი შედარებით სუსტია. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ 2021 წლის ივლისში განახლებული პროგნოზის თანახმად, გლობალური ეკონომიკური ზრდა 2021 წელს იქნება 6 პროცენტი გაზრდილი ფისკალური და მონეტარული სტიმულების ხარჯზე, ხოლო 2022 წელს გლობალური ზრდა მიაღწევს 4.9 პროცენტს. განახლებული პროგნოზის მიხედვით, განვითარებული ქვეყნებისათვის მოსალოდნელი ეკონომიკური ზრდა 2021 წელს 5.6, ხოლო 2022 წელს 4.4 პროცენტს შეადგენს. ამავე დროს, მზარდი და განვითარებადი ქვეყნებისათვის მოსალოდნელია 2021 წელს 6.3 პროცენტის, ხოლო 2022 წელს 5.2 პროცენტის ზრდა. სსფ-ის ივლისის პროგნოზის მიხედვით, ევროზონის ეკონომიკური ზრდა 2021 წელს 4.6 პროცენტს, ხოლო 2022-ში კი 4.3 პროცენტს შეადგენს. აღნიშნული ზრდა განპირობებულია ვაქცინაციის პროცესის გამო შეზღუდვების შემსუბუქებით, საწარმოო და სამრეწველო სექტორების გაჯანსაღებით და ეკონომიკური აგენტების დადებითი მოლოდინებით, როგორც ინვესტიციების, ასევე - ტურიზმის მხრივ. ივლისის პროგნოზის მიხედვით, ინფლაციის დონე 2021 წელს 1.4, ხოლო 2022 წელს 1.2 პროცენტს შეადგენს.


თურქეთისთვის ბოლო პერიოდში მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება ინვესტიციების შემცირება და გაუარესებული სავაჭრო ბალანსი. ამის ფონზე, გლობალურმა პანდემიამ დამატებითი ზეწოლა მოახდინა თურქეთის ეკონომიკაზე. სსფ-ის პროგნოზის მიხედვით, 2021 წლის რეალური ეკონომიკური ზრდა თურქეთში 5.8 პროცენტით განისაზღვრა, ხოლო 2022 წელს 3.3 პროცენტს გაუტოლდება. თურქული ლირის გაუფასურება ჯერ კიდევ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ინფლაციაზე. სსფ-ის ივლისის შეფასებით, 2021 და 2022 წლებში, ინფლაციის მოსალოდნელი მნიშვნელობა შესაბამისად 13.6 და 11.8 პროცენტს

დიაგრამა 12: ეკონომიკური ზრდა რეგიონში



წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი

დიაგრამა 13: ინფლაცია რეგიონში




წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი


წყარო: International Monetary Fund. World Economic Outlook Update: Fault Lines Widen in the Global Recovery. Washington, DC, July 2021

International Monetary Fund. World Economic Outlook: Managing Divergent Recoveries. Washington, DC, April 2021.

დიაგრამა 14: მიმდინარე ანგარიშის შეფარდება მშპ-თან, %



დიაგრამა 15: ბიუჯეტის დეფიციტის შეფარდება მშპ-თან, %



წყარო: International Monetary Fund. World Economic Outlook Update: Fault Lines Widen in the Global Recovery. Washington, DC, July 2021

International Monetary Fund. World Economic Outlook: Managing Divergent Recoveries. Washington, DC, April 2021.

შეადგენს. მნიშვნელოვანი შემცირება შეინიშნება მიმდინარე ანგარიშის ბალანსის მშპ-სთან თანაფარდობის, 2020 წელთან შედარებით მისი მნიშვნელობა 1.7 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 2021 წელს -3.4 პროცენტი შეადგინა, ხოლო 2022 წელს მოსალოდნელია -2.2 პროცენტამდე გაზრდა. მსოფლიოში და ქვეყნის შიგნით ვაჭრინაციის პროცესმა და შეზღუდვების შემსუბუქებამ ასევე დადებითად იმოქმედა რუსეთის ეკონომიკურ მდგომარეობაზე 2021 წლის პირველ ნახევარში. გაზრდილია სამომხმარებლო ხარჯები და ეკონომიკური აგენტების დადებითი მოლოდინები. გარდა ამისა, მსოფლიო ბაზარზე ნავთობის საერთაშორისო ფასის ზრდამ ასევე გააუმჯობესა რუსეთის საგარეო სექტორი. სსფ-ის შეფასებით, 2021 წლის ეკონომიკური ზრდა რუსეთში 4.4 პროცენტით განისაზღვრა, ხოლო 2022-ში კი მოსალოდნელია 3.1 პროცენტის ზრდა. აღნიშნულმა აღდგენამ შემქნა დამატებითი წნეხი ინფლაციაზე და სსფ-ს შეფასებით ის საშუალოდ გაუტოლდება 4.5 პროცენტს და 3.4 პროცენტს 2021-2022 წლებში. მნიშვნელოვნად შემცირდება ნაერთი ბიუჯეტი, რაც სსფ-ის მიხედვით 2021 წელს გაუტოლდება მშპ-ს -0.8 პროცენტს, ხოლო 2022 წელს გაუტოლდება -0.3 პროცენტს.

ნავთობის ფასის ზრდა და შეზღუდვების შემსუბუქება ასევე აისახება აზერბაიჯანის ეკონომიკურ მაჩვენებლებზე. სსფ-ის შეფასებით, 2021 წელს აზერბაიჯანში ეკონომიკური ზრდა 2.3 პროცენტი იქნება, ხოლო 2021 წელს კი 1.7 პროცენტი. ნავთობის ფასის ზრდა ასევე გააუმჯობესებს აზერბაიჯანის სავაჭრო ბალანსს, რაც სსფ-ის შეფასებით, 2021 წელს გააუმჯობესებს მიმდინარე ანგარიშს ბალანსის შეფარდებას მშპ-თან 1.1 პროცენტამდე. ეკონომიკის გაჯანსაღება ასევე აისახება ინფლაციაზე. პროგნოზის მიხედვით, 2021 წელს ინფლაცია გაუტოლდება 3.5 პროცენტს, ხოლო 2022 წელს - 3.2 პროცენტს. შეზღუდვების შერბილებამ ასევე დადებითად იმოქმედა სომხეთის ეკონომიკურ აქტივობაზე. გაზრდილია სამომხმარებლო ხარჯები და წარმოების სექტორი. თუმცა საგარეო სექტორი ჯერ კიდევ რჩება გაუარესებულ მდგომარეობაში. გარდა ამისა, აზერბაიჯანთან ომის შემდგომ და არსებული პოლიტიკური არასტაბილურობის გამო, მომავალშია რისკები, რაც აუარესებს ბიზნეს განწყობას. შესაბამისად, სსფ-ის ივლისის პროგნოზის თანახმად, 2021 წელს ეკონომიკური ზრდა განისაზღვრა 1 პროცენტის დონეზე, ხოლო 2022 წელს მოსალოდნელია 3.5 პროცენტის ზრდა.


საგარეო სექტორი

მიმდინარე ანგარიშის ბალანსი

2020 წელს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა მშპ-ს 12.5 პროცენტი შეადგინა, რაც მნიშვნელოვანი გაუარესებაა 2019 წლის 5.5 პროცენტიანი დეფიციტის შემდეგ. რაც შეეხება 2021 წელს, დაიწყო გაუმჯობესება როგორც საერთაშორისო ვაჭრობის, ასევე - ტურიზმის მიმართულებით. შედეგად, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი პირველ კვარტალში 10.7 პროცენტზე დაფიქსირდა, 2020 წლის ბოლო კვარტალში არსებული 13.3 პროცენტის შემდეგ. აღსანიშნავია, რომ 2020 წელს მიმდინარე ანგარიშის აღნიშნული გაუარესება ძირითადად გამოწვეულია კორონა პანდემიის გამო ჩაკეტილი საზღვრების შედეგად წარმოქმნილი მოთხოვნა-მიწოდების დისბალანსით. ბოლო პერიოდში, იმპორტირებულ საქონელზე მზარდ მოთხოვნას მომსახურების ექსპორტის მზარდი მიწოდება უზრუნველყოფდა, თუმცა განვითარებულმა მოვლენებმა ქვეყნის საგარეო ტურიზმი თითქმის ნულამდე შეამცირა. 2008 წლის შემდეგ (2008 წლის მესამე კვარტალი), 2020 წლის მესამე კვარტალში პირველად დაფიქსირდა, რომ მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი გასავალზე ნაკლები აღმოჩნდა, რამაც უარყოფითი წვლილი შეიტანა მიმდინარე ანგარიშის ბალანსში (1.2 პ.პ.), აღნიშნული შენარჩუნდა მეოთხე კვარტალშიც და უარყოფითმა წვლილმა 1.7 პ.პ შეადგინა.


მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსება ხდება ვალით და პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით. დეფიციტის ვალით დაფინანსება გულისხმობს ახალი ვალის აღებას და შესაბამისად, უფრო მეტი ხარჯის გაწევას ვალის მომსახურებაზე. ამ მხრივ მნიშვნელოვანია, რომ მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდის ხარჯზე განხორციელდეს. საქართველოში ბოლო პერიოდში უმჯობესდებოდა მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსების სტრუქტურა და 2017 წელს დეფიციტი მთლიანად იყო პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით დაფინანსებული. 2019 წლის მესამე კვარტალში, ადგილი ჰქონდა მიმდინარე ანგარიშის პროფიციტს 0.4 პროცენტის დონეზე. რაც შეეხება შემდგომ პერიოდს, დეფიციტის დაფინანსებაში საგარეო ვალი საკმაოდ დიდი წვლილით მონაწილეობს. განსაკუთრებით კი აღსანიშნავია 2020 წელი, როცა ვალით დაფინანსებამ საკმაოდ დიდი წვლილი შეიტანა დეფიციტის

დიაგრამა 16: მიმდინარე ანგარიშის შეფარდება მშპ-თან, %




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საქსტატი

დიაგრამა 17: ადგილობრივი ინვესტიციების დაფინანსება




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საქსტატი

დიაგრამა 18: მიმდინარე ანგარიშის დაფინანსება




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საქსტატი

დიაგრამა 19: საგარეო ვალი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საქსტატი

დიაგრამა 20: ვალის მშპ-თან თანაფარდობის ცვლილება



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საქსტატი.

დიაგრამა 21: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები



წყარო: საქსტატი

დაფინანსებაში. რაც შეეხება 2021 წლის პირველ კვარტალს, კვლავ დიდი წვლილი აქვს შეტანილი ვალის აღებას დეფიციტის დაფინანსებაში, თუმცა წინა კვარტალთან შედარებით ვალის წვლილი შემცირებულია. აღსანიშნავია, რომ 2020 წლის მეოთხე კვარტალში შემცირებულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა უარყოფითად იმოქმედა დეფიციტის დაფინანსებაზე, აღნიშნული შემცირება კი გამოწვეულია რამდენიმე საწარმოს გადასვლით საქართველოს რეზიდენტის საკუთრებაში.

საბარემო პალი

მიმდინარე ანგარიშის დეფიციტთან ერთად, საქართველოს ეკონომიკის დამატებით სისუსტედ საგარეო ვალი მიიჩნევა, რაც კვლავ რჩება მოწყვლადობის ძირითად წყაროდ. საგარეო ვალი შედგება როგორც სამთავრობო სექტორის ვალისგან, ასევე - კომერციული და ეროვნული ბანკის საგარეო ვალისგან და კომპანიათაშორის სესხებისგან.

მიმდინარე პანდემიის პირობებში საქართველოს მთლიანი საგარეო ვალი მნიშვნელოვნად გაიზარდა 2020 წელს და მთლიანი შიდა პროდუქტის 129.5 პროცენტი შეადგინა. წინა წელთან შედარებით ვალი 21 პ.პ-ით არის გაზრდილი. 2021 წლის პირველ კვარტალის მდგომარეობით კი საგარეო ვალი მთლიანი შიდა პროდუქტის 132.9 პროცენტია, რაც 3.3 პ.პ-ით ზრდას გულისხმობს. საგარეო ვალის ზრდა მნიშვნელოვნად არის გამოწვეული სამთავრობო სექტორის ვალის ზრდით, მიმდინარე პანდემიისას განხორციელებული ღონისძიებებისა და მოზიდული დაფინანსების გამო.

საგარეო ვალის ცვლილების დეკომპოზიცია წარმოდგენილია როგორც საოპერაციო ანუ ვალის აღებით, ასევე - საფასო ეფექტით, გაცვლითი კურსის ცვლილებითა და ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის ცვლილებით. აღსანიშნავია, რომ 2015-2016 წლებში საგარეო ვალის ზრდაში ყველაზე დიდი წვლილი გაცვლითი კურსის გაუფასურებამ შეიტანა, ხოლო მშპ ძირითადად ხელს უწყობდა საგარეო ვალის შემცირებას. 2020 წლისთვის ვალის მშპ-თან შეფარდება გაზრდილია 21 პროცენტული პუნქტით, აღნიშნულ ცვლილებაში კი მთავარი ფაქტორი იყო როგორც საოპერაციო ცვლილება (+17.6 პროცენტული პუნქტი), ასევე - გაცვლითი კურსის ცვლილება (+16.7 პროცენტული პუნქტი). აღსანიშნავია, რომ გაცვლითი კურსის გავლენა ვალის ზრდაში


განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო 2020 წლის მესამე კვარტალში. რაც შეეხება 2021 წლის პირველ კვარტალს, ვალი 3.3 პ.პ-ით არის გაზრდილი, რომელშიც მნიშვნელოვანი წვლილი მიდმიაწერე ანგარიშის დეფიციტისა და გაცვლით კურსის ცვლილებებს აქვთ შეტანილი. საოპერაციო ფაქტორი კი სხვა ფაქტორებით არის დაკომპენსირებული.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

2020 წელს საქართველოში განხორციელებულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 617 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე 52.9 პროცენტით ნაკლებია. ამასთან, 2021 წლის პირველ კვარტალში ინვესტიციების მოცულობამ 125 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 28.3 პროცენტით ნაკლებია წინა წლის შესაბამისი პერიოდთან შედარებით. აღნიშნული კლების გამომწვევი ძირითადი მიზეზია რამდენიმე საწარმოს გადასვლა საქართველოს რეზიდენტის საკუთრებაში (340.5 მლნ აშშ დოლარით შემცირება). პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 2021 წლის პირველ კვარტალში განხორციელდა ძირითადად გაერთიანებული სამეფოდან (70.5 პროცენტი), რუსეთიდან (25.4 პროცენტი), თურქეთიდან (19.5 პროცენტი), ჩეხეთიდან (11.3 პროცენტი) და არაბთა გაერთიანებული საემიროებიდან (10.2 პროცენტი). რაც შეეხება სექტორებს, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 74.9 პროცენტი შეადგინა საფინანსო სექტორში განხორციელებულმა ინვესტიციებმა, ენერგეტიკაში – 28.3 პროცენტი, დამამუშავებელ მრეწველობაში განხორციელდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 22.2 პროცენტი, უძრავ ქონებაში – 19.4 პროცენტი და ჯანდაცვაში – 9.6 პროცენტი.


აღსანიშნავია, რომ 2016 წლიდან მთლიან ინვესტიციებში ფიქსირდება რეინვესტირების შედარებით მაღალი დონე, რაც აჩვენებს, რომ სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა და გაუმჯობესებული ბიზნეს გარემო დადებითად აღიქმება ინვესტორების მიერ და მეტი ინვესტორი აგრძელებს ბიზნეს გეგმებს საქართველოში. კორონა პანდემიის მიუხედავად, 2020 წელსაც რეინვესტირების მაღალი დონე დაფიქსირდა. კერძოდ, მისმა მოცულობამ 301 მილიონი დოლარი შეადგინა, რაც მშპ-ს 1.9 პროცენტია (2019 წელს რეინვესტირება მშპ-ს 2.3 პროცენტზე დაფიქსირდა). ამასთან, 2021 წლის პირველი კვარტალის მიხედვით, რეინვესტირებამ უარყოფითი წვლილი შეიტანა, რაც რეინვესტირების კლებაზე მიუთითებს.

დიაგრამა 22: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საქსტატი

დიაგრამა 23: FDI-ის განაწილება, 2021 კვ3




წყარო: საქსტატი

დიაგრამა 24: საგარეო ვაჭრობა, იანვარი-ივნისი




წყარო: საქსტატი

დიაგრამა 25: ადგილობრივი ექსპორტის წლიური ცვლილება



წყარო: საქსტატი

დიაგრამა 26: იმპორტის წლიური ცვლილება



წყარო: საქსტატი

დიაგრამა 27: იმპორტის ცვლილების დეკომპოზიცია



წყარო: საქსტატი; ავტორის გაანგარიშება

საბარემო ვაჭრობა

2020 წელს, მსოფლიოში გავრცელებული ეპიდემიის და ქვეყნების უმრავლესობის მიერ შეზღუდვების დაწესების ფონზე, შემცირდა საგარეო მოთხოვნა. მოსალოდნელია, რომ აღნიშნული ფაქტორების უარყოფითი გავლენა საქართველოს ექსპორტზე, ფულად გზავნილებსა და საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებულ შემოსავალზე იქნება უარყოფითი გარკვეული დროის განმავლობაში, ეპიდემიის ირგვლივ არსებული გაურკვევლობის გამო. ამავე დროს, ქვეყნის შიგნით შემცირებული ეკონომიკური საქმიანობის გამო, ასევე შემცირდა იმპორტის მოცულობა. 2020 წელს ნომინალური ექსპორტის წლიურმა ზრდამ შეადგინა -12.0 პროცენტი და გაუტოლდა 3,343 მლნ აშშ დოლარს, ადგილობრივი ექსპორტის ზრდამ კი შეადგინა 3.5 პროცენტი. რაც შეეხება 2021 წელს, პირველ კვარტალში ნომინალური ექსპორტი 4.8 პროცენტით გაიზარდა, ხოლო ადგილობრივი ექსპორტი - 13.1 პროცენტით გაიზარდა, რაშიც რეალურმა ზრდამ 11.3 პროცენტი შეადგინა. მეორე კვარტალში კი ნომინალური ექსპორტი 47.1 პროცენტით არის გაზრდილი, ხოლო ადგილობრივი ექსპორტის 41.8 პროცენტთან ზრდაში რეალურმა ზრდამ 33.3 პროცენტი შეადგინა. ამავე დროს, 2020 წელს იმპორტის წლიური კლება დაფიქსირდა 15.4 პროცენტზე და გაუტოლდა 8,053 მლნ აშშ დოლარს, ხოლო 2021 წლის პირველ კვარტალში იმპორტის 1.8 პროცენტის კლება დაფიქსირდა, აქედან კი რეალურმა კლებამ შეადგინა 5.8 პროცენტი. მეორე კვარტალში იმპორტი 44.8 პროცენტით არის გაზრდილი, სადაც რეალურმა ზრდამ 22.6 პროცენტი შეადგინა.

2021 წლის მეორე კვარტალში, სამომხმარებლო საქონლის იმპორტი გაიზარდა 40.3 (14.3 კ.პ წილი) პროცენტით, შუალედური საქონლის იმპორტი 54.7 პროცენტით (21.2 კ.პ. წილი), ხოლო საინვესტიციო საქონლის იმპორტი გაიზარდა 37.5 პროცენტით (9.7 კ.პ. წილი). აღნიშნულ პერიოდში, ტრადიციული საქონლის ექსპორტი 48.5 პროცენტით არის გაზრდილი, ხოლო ნედლეულის ექსპორტი გაიზარდა 32.1 პროცენტით. 2021 წლის მეორე კვარტალში სასაქონლო ჯგუფებიდან საექსპორტო ათეულში პირველი ადგილი სპილენძის მადნებმა და კონცენტრატებმა დაიკავეს 232.4 მლნ. აშშ დოლარით (მთლიანი ექსპორტის 21.8 პროცენტი), მეორე ადგილზე - მსუბუქი ავტომობილები 118.8 მლნ აშშ დოლარით (მთლიანი ექსპორტის 11.1 პროცენტი), ხოლო მესამე ადგილზე -

ფეროშენადნობები 102.6 მლნ. აშშ დოლარით (9.6 პროცენტი).

უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფი შეადგინა სპილენძის მადნებმა და კონცენტრატებმა 189.7 მლნ აშ დოლარით (მთლიანი იმპორტის 8.1 პროცენტი), მეორე ადგილი ნავთობმა და ნავთობპროდუქტებმა დაიკავა 184.7 მლნ. აშშ დოლარით (7.9 პროცენტი), ხოლო მესამე ადგილზეა - მსუბუქი ავტომობილების ჯგუფი 175.3 მლნ აშშ დოლარით (მთლიანი იმპორტის 7.5 პროცენტი).


ტურიზმი

2020 წელს, COVID-19 ეპიდემიის გავრცელებიდან თავის არიდების მიზნით, მარტში მოხდა საზღვრების ჩაკეტვა და საერთაშორისო მოგზაურობის შეწყვეტა საქართველოს ტერიტორიაზე. აღნიშნული შეზღუდვის შედეგად მკვეთრად შემცირდა საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობა. შესაბამისად, 2020 წლის მეორე კვარტლიდან მნიშვნელოვნად არის შემცირებული როგორც ვიზიტორების რაოდენობა, ასევე - ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი. კლება გაგრძელდა 2021 წლის პირველ კვარტალშიც, როდესაც ვიზიტორების მთლიანი რაოდენობა წლიურად 88 პროცენტით შემცირდა, ხოლო ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები აღნიშნულ პერიოდში წლიურად 87.5 პროცენტით შემცირდა. რაც შეეხება მეორე კვარტალს, აღსანიშნავია, რომ უკვე შეინიშნება ტურიზმის გაჯანსაღება. ვიზიტორების მთლიანმა რაოდენობამ 391 ათასი შეადგინა, მაშინ როდესაც გასული წლის მეორე კვარტალში იგივე მაჩვენებელი 105 ათასი იყო და წლიურად ზრდა დაფიქსირდა 271 პროცენტზე. ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები აღნიშნულ პერიოდში წლიურად 753.3 პროცენტით არის გაზრდილი და 246.1 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა.

ფულადი გზავნილები


2020 წელს წმინდა ფულადი გზავნილების მოცულობამ 1,639 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც 9.6 პროცენტით მეტია წინა წელთან შედარებით. აღნიშნულ ზრდაში ყველაზე დიდი წვლილი შეიტანა იტალიამ და უკრაინამ (ჯამურად 7 პროცენტიანი წვლილი), ხოლო რუსეთის წვლილი უარყოფითია, -4.4 პროცენტით. რაც შეეხება 2021 წელს, 2020 წლის პირველ ნახევარში არსებული კლების შემდეგ, შეინიშნება გაჯანსაღება. პირველ კვარტალში წმინდა ფულადი გზავნილები 32.9

დიაგრამა 28: შემოსავალი ტურიზმიდან, მლნ აშშ




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა 29: შემოსავალი ტურიზმიდან, მლნ აშშ დოლარი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა 30: წმინდა ფულადი გზავნილები




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

პროცენტით არის გაზრდილი წინა წლის შესაბამის კვარტალთან შედარებით, ხოლო წინა კვარტალთან შედარებით 9.3 პროცენტის კლება დაფიქსირდა. მეორე კვარტალში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ზრდამ 52 პროცენტი შეადგინა, რაც წინა კვარტალთან შედარებით 16.6 პროცენტის ზრდას გულისხმობს. აღსანიშნავია, რომ მეორე კვარტალში გზავნილების ზრდა, გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით, ძირითადად განპირობებულია რუსეთის ფედერაციიდან, აშშ-დან და იტალიიდან გზავნილების ზრდით. აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდში რუსეთიდან ფულადი გზავნილები შემცირებული იყო და უარყოფითი წვლილი ჰქონდა გზავნილების ზრდაში. აღსანიშნავია, რომ გასული წლის პირველ კვარტალსა და მეორე კვარტალის ნახევარში ფულადი გზავნილების დაბალი დონე ნაწილობრივ განპირობებული იყო ნავთობზე ფასების შემცირებით, რამაც დამატებითი დარტყმა მიაყენა ნავთობზე მნიშვნელოვნად დამოკიდებული ქვეყნების ეკონომიკას, განსაკუთრებით კი ეს შეეხო რუსულ რუბლს და აისახა რუსეთიდან გზავნილების შემცირებაში.

სხვა ქვეყნებზე დამოკიდებულება

საქართველოს ეკონომიკა დივერსიფიცირებულია სხვა ქვეყნებზე დამოკიდებულების მიხედვით. მიმდინარე ანგარიშის შემოსულობებში ექსპორტის, ტურიზმისა და ტრანსფერების წილების მიხედვით, საქართველო დამოკიდებულია რუსეთზე, თურქეთზე, უკრაინასა და ევროკავშირის ქვეყნებზე. 2021 წლის პირველი კვარტალის მიხედვით, რუსეთზე დამოკიდებულება კვლავ განაგრძობს შემცირებას, რაც ტურიზმის დაბალი დონით აიხსნება. თურქეთისა და უკრაინის შემთხვევაში აღნიშნული კლება დაკომპენსირებულია გაზრდილი ექსპორტით, ხოლო ევროკავშირიდან მომატებულია ფულადი გზავნილები. რაც შეეხება 2020 წელს, წინა წელთან შედარებით, ევროკავშირზე დამოკიდებულება გაიზარდა, ხოლო რუსეთსა და თურქეთზე დამოკიდებულება ბოლო წლებში მნიშვნელოვნად შემცირდა. ასეთი შემცირება შეიძლება აიხსნას ტურიზმიდან მიღებული შემოსავლის სწრაფი შემცირებით, რაც გამოწვეულია პანდემიით გამოწვეული მოგზაურობის შეზღუდვით და ფულადი გზავნილების შემცირებით რუსეთსა და თურქეთში ეკონომიკური შენელების შედეგად, ნავთობის ფასისა და გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო. რუსეთიდან საქართველოში ფრენების აკრძალვამ გამოიწვია ტურისტების მკვეთრი შემცირება რუსეთიდან, 2019 წლის მეორე ნახევრის განმავლობაში, რაც აისახა რუსეთიდან შემოსავლების შემცირებაში. ამასთან, ეს ზარალი ანაზღაურდა სხვა ქვეყნების საერთაშორისო მოგზაურთა მზარდი რაოდენობით. რაც შეეხება 2020 წელს, ტურიზმის წილი შემცირდა და მიუახლოვდა ნულს, ხოლო ფულადი გზავნილების წილი გაიზარდა. უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირზე დამოკიდებულება გაიზარდა ტურიზმის წილის შემცირების შემდეგ, რაც განპირობებული იყო ექსპორტისა და ფულადი გზავნილების ზრდით. 2020 წელს ფულადი გზავნილების წილი 5-დან 9 პროცენტამდე გაიზარდა.


დიაგრამა 31: დამოკიდებულება სავაჭრო პარტნიორებზე




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საქსტატი

ბაცვლითი კურსი

დიაგრამა 32: ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი



დიაგრამა 33: რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი



კორონა ვირუსის პანდემიისა და ნავთობის ფასის საერთაშორისო ვარდნის ფონზე, 2020 წელს აშშ დოლარი გამყარდა განვითარებადი ქვეყნების ვალუტების მიმართ, რაც შეიმჩნევა რეგიონის ქვეყნების ვალუტების შეწონილი ინდექსის დადებით ტენდენციაშიც. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ლარი გაუფასურდა რეგიონის ქვეყნების ვალუტების მიმართაც, რაც თავის მხრივ განპირობებულია იმით, რომ ტურიზმს საქართველოს ეკონომიკაში უფრო მნიშვნელოვანი წილი უკავია, ვიდრე - რეგიონის ქვეყნების ეკონომიკაში, არსებულმა პანდემიამ კი ყველაზე დიდი დარტყმა ტურიზმის სექტორს მიაყენა.

2021 წლის მეორე კვარტალში ლარის გაცვლითი კურსი დოლარის მიმართ გაუფასურდა 5.7 პროცენტით წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით და 0.4 პროცენტით 2021 წლის პირველ კვარტალთან შედარებით. რაც შეეხება გაცვლითი კურსის ცვლილებას 2021 წლის პირველ იანვართან შედარებით, დოლარის მიმართ ლარის კურსი 3.7 პროცენტით არის გამყარებული, ევროს მიმართ კი 7 პროცენტიანი გამყარება შეინიშნება. ლარი მნიშვნელოვნად გამყარდა თურქული ლირას მიმართ, 21.4 პროცენტით, ხოლო რუსული რუბლის მიმართ 0.9 პროცენტით. ივნისის მდგომარეობით, ლარის ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსის ინდექსი გაუფასურებულია თავისი საშუალოვადიანი ტრენდიდან და -2 პროცენტით არის გადახრილი. რაც შეეხება ფასების დონით კორექტირებულ გაცვლით კურსს, ივნისში რეალური ეფექტური გაცვლითი კურსის მნიშვნელობა ტრენდიდან 3.2 პროცენტით არის გადახრილი, რაც გამყარებულ გაცვლით კურსს გულისხმობს.

ცხრილი 1: ნომინალური ეფექტური და რეალური ეფექტური გაცვლით კურსების ცვლილება

	30 ივნისი, 2021	30 ივნ 2021 - 1 იან 2021	30 ივნ 2021 - 1 იან 2020
ევრო	3.7608	▲ 7.0%	▼ -14.5%
აშშ დოლარი	3.1603	▲ 3.7%	▼ -9.3%
თურქული ლირა	0.3625	▲ 21.4%	▲ 32.9%
რუსული რუბლი	0.0435	▲ 0.9%	▲ 5.9%
ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი	117.43	▲ 6.1%	▼ -1.5%
რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი (ივნისი, 2021)	115.70	▲ 10.3%	▲ 2.2%

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფისკალური საქმე

ნაერთი ბიუჯეტის შესრულება

2021 წლის პირველ ნახევარში ნაერთი ბიუჯეტის გადასახადებიდან მიღებული შემოსავლის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 5,898.1 მლნ ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 6,008.4 მლნ ლარი, რაც შეადგენს საპროგნოზო მაჩვენებლის 101.9 პროცენტს.

■ საშემოსავლო გადასახადის სახით მობილიზებულია 1,677.8 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (1681 მლნ ლარი) 99.8 პროცენტია.

■ მოგების გადასახადის სახით მობილიზებულია 556,7 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (610 მლნ ლარი) 91.3 პროცენტია.

■ დამატებული ღირებულების გადასახადის სახით მობილიზებულია 2,686.4 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (2,425 მლნ ლარი) 110.8 პროცენტია.

■ აქციზის სახით მობილიზებულია 754.3 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (693.2 მლნ ლარი) 108.8 პროცენტია.


■ იმპორტის გადასახადის სახით მობილიზებულია 39.2 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (38 მლნ ლარი) 103 პროცენტია.

■ ქონების გადასახადის სახით მობილიზებულია 379.4 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (303.9 მლნ ლარი) 124.8 პროცენტია.

2021 წლის მეორე კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები გაიზარდა 22.8 პროცენტით, ხოლო ხარჯები გაიზარდა 26.9 პროცენტით. ამავდროულად, ნაერთი ბიუჯეტის საოპერაციო სალდომ, რაც წარმოადგენს მთავრობის დანაზოგს, შეადგინა -273.9 მლნ ლარი, ხოლო მთლიანი სალდო განისაზღვრა -1,101.7 მლნ ლარით.


საბიუჯეტო შემოსავლებში მნიშვნელოვან წილს იკავებს გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი, რაც 2021 წლის მეორე კვარტალის მონაცემებით შეადგენს 87.4 პროცენტს. ნაერთმა ბიუჯეტმა გადასახადებიდან მიიღო 3,051.4 მლნ ლარი, რაც 24.8 პროცენტით მეტია წინა წლის მაჩვენებელზე. საშემოსავლო გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი წლიურად გაიზარდა 8.9 პროცენტით და გაუტოლდა 843.3 მლნ ლარს. მაღალი ზრდა შეინიშნება დამატებითი ღირებულების გადასახადებიდან მიღებული შემოსავლის სახით,

დიაგრამა 34: ნაერთი ბიუჯეტის შესრულება




წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

დიაგრამა 35: ნაერთი ბიუჯეტის სალდო




წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

დიაგრამა 36: გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

დიაგრამა 37: ნაერთი ბუჯეტის ხარჯები



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

რომელიც წლიურად გაიზარდა 66.4 პროცენტით წინა წელთან შედარებით და გაუტოლდა 1,481 მლნ ლარს, რაც შეადგენს საგადასახადო შემოსავლების 40.8 პროცენტს. ამავე დროს, გადასახადებიდან მიღებულ შემოსავალში მნიშვნელოვანი ზრდა შეინიშნება იმპორტის და აქციზის გადასახადებიდან. კერძოდ, იმპორტის გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი გაიზარდა 31.4 პროცენტით, ხოლო აქციზის გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი გაიზარდა 28 პროცენტით. შედარებით მცირედით გაიზარდა მოგების აგდასახადებიდან მიღებული შემოსავალი, რომლის წილი შეადგენს 14.5 პროცენტს, ხოლო ზრდის ტემპი გაუტოლდა 3.5 პროცენტს. ასევე მნიშვნელოვნად გაიზარდა ქონების გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი. მცირე 0.4 პროცენტიანი წილის პირობებში, წლიურმა ზრდამ შეადგინა 21.8 პროცენტი.


2021 წლის მეორე კვარტალში ხარჯები წლიურად გაიზარდა 26.9 პროცენტით და შეადგინა 3,765.6 მლნ ლარი. ბიუჯეტის ხარჯების ნაწილში ყველაზე დიდი წილი უკავია სოციალურ უზრუნველყოფაზე გაწეულ ხარჯებს, რომელიც შეადგენს მთლიანი ხარჯების 40.8 პროცენტს, ხოლო წლიური ზრდის ტემპი ტოლია 17.6 პროცენტის. ასევე მნიშვნელოვნად გაიზარდა სუბსიდიების სახით გაწეული ხარჯები, რომლის წლიური ზრდის ტემპი გაუტოლდა 60.6 პროცენტს და შეადგინა 402.9 მლნ ლარი, რაც შეადგენს მთლიანი ხარჯების 10.7 პროცენტს. რაც შეეხება ხარჯების დანარჩენ მუხლებს, შრომის ანაზღაურებას (მთლიანი ხარჯების 12.5 პროცენტი), საქონელსა და მომსახურებას (მთლიანი ხარჯების 14 პროცენტი), პროცენტს (მთლიანი ხარჯების 6.3 პროცენტი) და სხვა ხარჯებს (მთლიანი ხარჯების 15.5 პროცენტი), 2020 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, შესაბამისად, 5.8 პროცენტით, 29.4 პროცენტით, 34.6 პროცენტით და 54.4 პროცენტით მეტი იქნა მათზე მიმართული.

საქართველოს სახელმწიფო ვალი


2021 წლის 30 ივნისის მდგომარეობით საქართველოს სახელმწიფო ვალის ნაშთმა შეადგინა 31,124 მლნ ლარი, მათ შორის:

- სახელმწიფო საშინაო ვალის ნაშთი შეადგენს 5,789.4 მლნ ლარს, მათ შორის:
 - ეროვნული ბანკისათვის განკუთვნილი ერთწლიანი ყოველწლიურად განახლებადი სახელმწიფო ობლიგაცია („ობლიგაცია სეპ-ისტვის“) – 160.8 მლნ ლარი;
 - სხვადასხვა ვადის მქონე სახელმწიფო ობლიგაციები ღია ბაზრის ოპერაციებისათვის („ობლიგაციები ღია ბაზრისთვის“) – 170.0 მლნ ლარი;
 - ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებები - 390.4 მლნ ლარი;
 - ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციები - 5,038.2 მლნ ლარი;
- სახელმწიფო საგარეო ვალის ნაშთი შეადგენს 25,334.7 მლნ ლარს.


დიაგრამა 38: საქართველოს სახელმწიფო ვალი




სახელმწიფო საგარეო ვალი



მრავალმხრივი



ორმხრივი



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

მონეტარული სექტორი

პირველი სექტორის ლარიზაცია


სესხების ლარიზაციას მზარდი ტენდენცია გააჩნია, 2021 წლის 1 ივლისის მდგომარეობით მთლიანი სესხების ნაშთების ლარიზაცია 47.2 პროცენტს გაუტოლდა. აღსანიშნავია, რომ მთლიანი სესხების ლარიზაციის ძირითად დეტერმინანტს კვლავ ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების ლარიზაცია წარმოადგენს. 2021 წლის 1 ივლისის მდგომარეობით, ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების ნაშთებზე ლარიზაციამ 62.5 პროცენტი, ხოლო იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების ნაშთებზე - 31.1 პროცენტი შეადგინა.

სამომხმარებლო სესხების ლარიზაცია მნიშვნელოვნად აღემატება უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების ლარიზაციას. სამომხმარებლო სესხების ლარიზაცია 2021 წლის განმავლობაში 88 პროცენტის ირგვლივ დასტაბილურდა და 2021 წლის 1 ივლისის მდგომარეობით 88.3 პროცენტს შეადგენა, რაც შეეხება იპოთეკური სესხების ლარიზაციას, წინა კვარტალთან შედარებით მისი მნიშვნელობა 1.2 პროცენტული პუნქტით გაიზარდა (კურსის ეფექტის გამორიცხვით) და 37.2 პროცენტს გაუტოლდა იმავე პერიოდში.

აგრეთვე მზარდია დეპოზიტების ლარიზაცია, თუმცა მისი მნიშვნელობა ჩამოუვარდება სესხების ლარიზაციას. მთლიანი დეპოზიტების ლარიზაცია წინა კვარტალთან შედარებით 1.6 პროცენტული პუნქტით გაიზარდა (კურსის ეფექტის გამორიცხვით) და 2021 წლის 1 ივლისის მდგომარეობით 39.4 პროცენტი შეადგინა. დეპოზიტების ლარიზაციას მნიშვნელოვანწილად განაპირობებს იურიდიული პირების დეპოზიტების ლარიზაცია. პირველ კვარტალთან შედარებით მისი მნიშვნელობა 4.1 პროცენტით გაიზარდა და 2021 წლის 1 ივლისის 56 პროცენტს გაუტოლდა, ხოლო ამავე პერიოდში ფიზიკური პირების დეპოზიტების ლარიზაცია 24.8 პროცენტს შეადგენს.


დეპოზიტების ლარიზაციაში ძირითად კონტრიბუტორს კვლავ ვადიანი დეპოზიტების ლარიზაცია წარმოადგენს, 2021 წლის 1 ივლისის მდგომარეობით მისი მნიშვნელობა 40.4 პროცენტს გაუტოლდა. ამავე პერიოდში მიმდინარე ანგარიშების ლარიზაცია - 46.1 პროცენტს შეადგენს, ხოლო მოთხოვნამდე დეპოზიტების ლარიზაცია წინა კვარტალთან შედარებით 2.9 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 31.4 პროცენტს გაუტოლდა.

დიაგრამა 39: სესხების ლარიზაცია




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა 40: დეპოზიტების ლარიზაცია




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა 41: სესხების წლიური ზრდა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა 42: უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების წლიური ზრდა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სესხების მიმოხილვა

საკრედიტო პორტფელის წლიურ ზრდაში დაფიქსირებული კლების ტენდენცია 2021 წლის მეორე კვარტალში ზრდამ შეცვალა, 1 ივლისის მდგომარეობით 2020 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მთლიანი სესხები 13.8 პროცენტით გაიზარდა, რაც 4.6 პროცენტული პუნქტით აღემატება წინა კვარტალში დაფიქსირებულ მნიშვნელობას (კურსის ეფექტის გამორიცხვით). აგრეთვე მნიშვნელოვანი ზრდა შეინიშნება იურიდიული პირების სესხების წლიურ ზრდაშიც, რამაც განაპირობა 2021 წლისათვის მისი მნიშვნელობის 12.6 პროცენტამდე ზრდა, რაც 4.8 პროცენტული პუნქტით აღემატება წინა კვარტალის მაჩვენებელს, ამავე პერიოდში ფიზიკური პირების სესხების წლიური ზრდა 14.9 პროცენტს შეადგენს. 2020 წლისათვის სესხების ზრდის არსებული დინამიკა შეიცვალა და ფიზიკური პირების სესხებს მთლიან ზრდაში ძირითადი წვლილი შეაქვს.

აღსანიშნავია რომ ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული სესხების ზრდას ბოლო პერიოდში აღმავალი ტენდენცია გააჩნია და 2021 წლის 1 ივლისის მდგომარეობით მისი მნიშვნელობა 27.6 პროცენტს გაუტოლდა, რაც 7.3 პროცენტული პუნქტით აღემატება გასული კვარტალის მნიშვნელობას (კურსის ეფექტის გამორიცხვით). ამავე პერიოდში უცხოურ ვალუტაში დენომინირებული სესხების ზრდამ მხოლოდ 3.8 პროცენტი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ არსებული დინამიკა ხელს უწყობს სესხების ლარიზაციის ზრდას, რაც დადებითად აისახება ქვეყნის მოწყვლადობის შემცირებაზე გაცვლითი კურსის მერყეობის მიმართ.

2021 წლის 30 ივნისის მდგომარეობით უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების წლიურმა ზრდამ 18.9 პროცენტი შეადგინა. ამასთან აღსანიშნავია, რომ იპოთეკური სესხებში, რომლებიც ეროვნულ ვალუტაშია დენომინირებული მნიშვნელოვანი, 40.5 პროცენტის, ზრდა დაფიქსირდა, რაც 8.7 პროცენტული პუნქტით აღემატება წინა კვარტალის მნიშვნელობას, ხოლო იპოთეკური სესხების ზრდა, რომლებიც უცხოურ ვალუტაშია დენომინირებული, დადებითი ტენდენციით ხასიათდება და იმავე პერიოდში 9 პროცენტს შეადგენს.


დეპოზიტების მიმოხილვა

მთლიანი დეპოზიტების ზრდა 2021 წლის 1 ივლისს, 2020 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 16.6 პროცენტს შეადგენს, რაც მნიშვნელოვნად, 5.1 პროცენტული პუნქტით, ჩამოუვარდება წინა კვარტალის შესაბამის მაჩვენებელს. ამის ძირითად მიზეზს წარმოადგენს მნიშვნელოვანი ზრდის დინამიკის შემდეგ ბოლო კვარტალში ეროვნული ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების წლიურ ზრდაში დაფიქსირებული შემცირება, 2021 წლის პირველ კვარტალთან შედარებით, მისი მნიშვნელობა 11.1 პროცენტული პუნქტით შემცირდა (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით) და 1 ივლისის მდგომარეობით 24.2 პროცენტი შეადგინა, ამავე პერიოდში უცხოური ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების წლიური ზრდა ბოლო კვარტალის განმავლობაში 2.6 პროცენტული პუნქტით შემცირდა და იმავე პერიოდში 12.2 პროცენტი შეადგინა.

2021 წლის 1 აპრილის მდგომარეობით, ფიზიკური პირების დეპოზიტების ზრდამ 16.1 პროცენტი შეადგინა, ხოლო იურიდიული პირების დეპოზიტების წლიური ზრდა იმავე პერიოდში 17.2 პროცენტს გაუტოლდა, რაც 11.3 პროცენტული პუნქტით ჩამოუვარდება წინა კვარტალის მნიშვნელობას.


რაც შეეხება დეპოზიტების ზრდას ტიპების მიხედვით, დეპოზიტებში დაფიქსირებული ზრდის ტემპის შენელება აისახა მოთხოვნამდე და ვადიან დეპოზიტებში. მნიშვნელოვნად შემცირდა მოთხოვნამდე დეპოზიტების წლიური ზრდა, მისი მნიშვნელობა 1 ივლისის მდგომარეობით 18.3 პროცენტს შეადგენს, რაც წინა კვარტალთან შედარებით 8.3 პროცენტული პუნქტით მცირეა. აგრეთვე 7.2 პროცენტული პუნქტით შემცირდა 2021 წლის პირველ კვარტალთან შედარებით ვადიანი დეპოზიტების ზრდა და 16.6 პროცენტს გაუტოლდა 1 ავლისისათვის, ამავე პერიოდში მიმდინარე ანგარიშების წლიურმა ზრდამ 15 პროცენტი შეადგინა.

დიაგრამა 43: დეპოზიტების წლიური ზრდა




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა 44: ინფლაცია და მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი



დიაგრამა 45: სეზ-ის სავალუტო აუქციონზე აშშ დოლარით ვაჭრობის დინამიკა, მლნ



მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი

საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა 2021 წლის მეორე კვარტალში ჩაატარა ორი სხდომა. 28 აპრილის სხდომაზე, ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება რეფინანსირების განაკვეთის 1 პროცენტული პუნქტით ზრდის თაობაზე. ხოლო 23 ივნისს ჩატარებულ სხდომაზე, ეროვნულმა ბანკმა მიიღო გადაწყვეტილება რეფინანსირების განაკვეთის უცვლელად დატოვების შესახებ. მეორე კვარტლის ბოლოსთვის განაკვეთი შეადგენდა 9.5 პროცენტს.

ეროვნული ბანკის მიხედვით, სხვა თანაბარ პირობებში, 2021 წელს ინფლაცია საშუალოდ 9 პროცენტზე მაღალი იქნება და 2022 წელს ინფლაცია შემცირებას დაიწყებს და მის საშუალოვადიან მიზნობრივ მაჩვენებელს ეტაპობრივად დაუახლოვდება. სეზ-ის თანახმად, ინფლაციაზე აღმავალი ზეწოლა დამოკიდებულია მსოფლიო ბაზრებზე სურსათისა და ნავთობის მკვეთრად გაზრდილ ფასებზე. ასევე მნიშვნელოვნად მოიმატა საერთაშორისო ტრანსპორტირების ხარჯებმა, რაც იმპორტირებული პროდუქციის ფასებზე ახდენს გავლენას. 2021 წლის მეორე კვარტლის განმავლობაში, ეროვნულმა ბანკმა მოახდინა 82.9 მლნ აშშ დოლარის გაყიდვა. ხოლო 2021 წლის პირველ ნახევარში, ეროვნულმა ბანკმა მოახდინა 242.9 მლნ აშშ დოლარის გაყიდვა.

საპროცენტო განაკვეთები


2021 წლის 1 ივლისისთვის, უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთმა 2.1 პროცენტი შეადგინა, ხოლო ეროვნული ვალუტით - 9.6 პროცენტს უტოლდება.

2021 წლის 1 ივლისის მდგომარეობით, იურიდიული პირების მიერ ეროვნულ ვალუტაში განთავსებულ დეპოზიტებზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 9.9 პროცენტს გაუტოლდა, ხოლო უცხოური ვალუტით - 2 პროცენტს. ამავე პერიოდში ფიზიკური პირების დეპოზიტებზე საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთები უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე 2.2 პროცენტს, ხოლო ეროვნული ვალუტით - 8.9 პროცენტს შეადგენს.

2021 წლის 1 ივლისს საშუალო წლიური შეწონილი საპროცენტო განაკვეთი მოკლევადიან სამომხმარებლო სესხებზე 17.7 პროცენტს გაუტოლდა (ეროვნული ვალუტით - 22.2 პროცენტი, ხოლო უცხოური ვალუტით - 6 პროცენტი). გრძელვადიან სამომხმარებლო სესხებზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთს მნიშვნელოვანწილად ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული სესხები განსაზღვრავს, რომლის მნიშვნელობა 2021 წლის 1 ივლისს 17.3 პროცენტს გაუტოლდა. ეროვნულ ვალუტაში დენომინირებულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთი 18.5 პროცენტს შეადგენს, ხოლო უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ სესხებზე - 7.4 პროცენტს.


იურიდიულ პირებზე გაცემულ, ეროვნულ ვალუტაში დენომინირებულ იპოთეკურ სესხებზე საპროცენტო განაკვეთი 2021 წლის ივნისის ბოლოს 13.1 პროცენტს შეადგენდა, ხოლო უცხოური ვალუტით - 6.9 პროცენტს. ფიზიკურ პირებზე ეროვნულ ვალუტაში გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთმა 12.4 პროცენტი შეადგინა, ხოლო უცხოურ ვალუტაში - 6.1 პროცენტი.

დიაგრამა 46: საპროცენტო განაკვეთები დეპოზიტების ნაშთებზე



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა 47: საპროცენტო განაკვეთები გაცემულ, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილ სესხებზე



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საინფორმაციო ფურცელი

პუბლიკაცია მომზადებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტის მიერ. პუბლიკაციაში მოცემული ინფორმაცია და აზრები წარმოადგენს ავტორების - მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტის ეკონომიკური გუნდის აზრებს და არ წარმოადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურ პოზიციას. პუბლიკაციაში მოყვანილი ანალიტიკური ინფორმაცია ემსახურება საინფორმაციო მიზნებს და მოპოვებულია საჯარო წყაროებიდან. ანგარიშში მოცემული პროგნოზები და გაანგარიშებები არ უნდა იყოს მიღებული, როგორც დაპირება, მინიშნება და გარანტია.

